# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 72

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბათუმი 03 ივლისი 2013 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის, 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება", წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის – ნინო კერვალიშვილის სახით (შემდგომში – „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „სახანძრო უსაფრთხოება", წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის – ფრიდონ მგელაძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საინჟინრო-საპროექტო მომსახურება, კერძოდ, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის საევაკუაციო გეგმის შედგენა და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა (კლასიფიკატორის კატეგორიის კოდი: 713300000) (შემდგომში – მომსახურება).

### 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2013 წლის 22 ნოემბრამდე პერიოდში;

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

### 3. ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. მომსახურების მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება (საფასური) შეადგენს 2160 (ორიათასასსამოცი) ლარს.

3.2. შემსყიდველი მიმწოდებლისათვის მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორებას ახორციელებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე,

445393510

445391326

გადარიცხვის ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

## 4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

4.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 5. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებ-ლობის, შესრულების ვადების დაგვიანებისა ან/და არაჯეროვანი შესრულები-სათვის მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდე-ბულია ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზრაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ი.

6.3. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცილებისათვის გადახდილი ან/და გადასახდელი პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრუ-ლების მთლიანი ღირებულების 2%-ს, მაშინ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე წყდება.

## 7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ;

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასლ

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.4. 7.3. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

## 8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით შემსყიდველი ორგანიზაცია გამოყოფს კოორდინატორს, რომლის ფუნქციები განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

## 9. მომსახურების მიღება-ჩაბარება

მომსახურების მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენით, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლები.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარეთა პასუხისმგებლობას ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნისნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის [illegible] და დაუდევრობასთან (თუ იგი გამოწვეული იყო მესამე პირის ბრალეული მოქმედებით,

უბედურება, ხანძარი, ომი, მთავრობის დადგენილება ან მიმწოდებელთან შექმნილი ავარიული სიტუაცია და სხვა).

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს თავისი ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

## 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

## 14. გადასახადები და გაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

445393510

445391326

## 15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლიარად, რომლის თითო ეგზემპლიარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

15.2. მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 10 დღის განმავლობაში აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა.(ა).ი.პ.– „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება”

ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25

საიდენტიფიკაციო კოდი: 445393510

დირექტორის მოადგილე,

დირექტორის მ/შ:

ნინო კერვალიშვილი

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

შპს „სახანძრო უსაფრთხოება”

ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ №61
ს/კ №445 391 326
ს.ს. „თიბისი ბანკი”
კოდი TBCBGE22
ან.№GE44 TB 7493736020100002

დირექტორის მინდობილი პირი:

ფრიდონ მ[illegible]ელაძე

(ხელმოწერა)

დანართი 1

# ფასების ცხრილი

| № | მომსახურების დასახელება | განზ.ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საევაკუაციო გეგმის შედგენა | ცალი | 48 | 45,00 | 2160 |
| სულ ჯამი: | | | | | 2160.00 |

## საბავშვო ბაღების მისამართები

| № | მისამართი |
|---|---|
| საბავშვო ბაღი №1 | ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. №25 |
| საბავშვო ბაღი №2 | ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №5 |
| საბავშვო ბაღი №3 | ქ. ბათუმი, გორგასალის ქ. №51 |
| საბავშვო ბაღი №4 | ქ. ბათუმი, მელიქიშვილის №8 |
| საბავშვო ბაღი №6 | ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. №22ა |
| საბავშვო ბაღი №7 | ქ. ბათუმი, აღმაშენებლის №17 |
| საბავშვო ბაღი №8 | ქ. ბათუმი, ინასარიძის №4ა |
| საბავშვო ბაღი №9 | ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №9 |
| საბავშვო ბაღი №10 | ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №14 |
| საბავშვო ბაღი №11 | ქ. ბათუმი, აღმაშენებლის №5 |
| საბავშვო ბაღი №12 | ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. №30 |
| საბავშვო ბაღი №13 | ქ. ბათუმი, შაფათავას ქ. №44 |
| საბავშვო ბაღი №14 | ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №83 |
| საბავშვო ბაღი №15 | ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №65 |
| საბავშვო ბაღი №16 | ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. №113 |
| საბავშვო ბაღი №17 | ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №104 |
| საბავშვო ბაღი №18 | ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. №3 |
| საბავშვო ბაღი №19 | ქ. ბათუმი, სვიშევსკის ქ. №1 |
| საბავშვო ბაღი №20 | ქ. ბათუმი, ქათამაძის ქ. №38 |
| საბავშვო ბაღი №21 | ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №82 |
| საბავშვო ბაღი №22 | ქ. ბათუმი, თამარ მეფის I შესახ. №4 |
| საბავაშვო ბაღი №23 | ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი ფ. ხალვაშის გამზირი №29/31 |
| საბავშვო ბაღი №24 | ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი ფ. ხალვაშის გამზირი №46 |
| საბავშვო ბაღი №25 | ქ. ბათუმი, კახაბრის უბანი |
| საბავშვო ბაღი №26 | ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის უბანი იბერიის ქუჩა №1 |
| საბავშვო ბაღი №27 | ქ. ბათუმი, ლერმონტოვისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ |
| | საბავშვო ბაღი №28 - ქ. ბათუმი, ადლიის დასახლება |

445393510

445391326

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ათი წლის ჩვიდმეტ დეკემბერს, მე, ნოტარიუს ლეილა ჭედიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. 17. მომმართა შპს "სახანძრო უსაფრთხოება" -ს (რეგისტრირებული 22.11.2010წ. საიდენტიფიკაციო №445391326 იურიდიული მისამართი: ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №61) დირექტორმა, ქალბატონმა ირმა ცინცაძემ(დაბადებული 06.03.1970წ., ბათუმში მცხოვრები: ბათუმი, გ.ლეონიძის ქ. №6ა, ბინა 21 პირადი № 61001057951) , რომელმაც განაცხადა, რომ სურს წინამდებარე მინდობილობის შედგენა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ბატონ ფრიდონ მგელაძეს(დაბადებული: 19.09.1965წ., ქედაში, მცხოვრები: ბათუმი, გ.ლეონიძის ქ. №6ა, ბინა 21, პირადი №61002009218)მე დავადგინე მისი პირადობა, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობადა ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე დავადგინე მინდობილობის შინაარსი და შევადგინე წინამდებარე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე, მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ათი წლის ჩვიდმეტ დეკემბერს, შპს "სახანძრო უსაფრთხოება" -ს დირექტორმა, ქალბატონმა ირმა ცინცაძემ, რომელიც ამ მინდობილობაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც "მიმნდობი" ბატონ ფრიდონ მგელაძეს, რომელიც მოხსენიებულია, როგორც "მინდობილი პირი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას "სახანძრო უსაფრთხოება" -ს ინტერესები საქართველოს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანზაციებში, მინდობილი პირი უფლებამოსილია შეუზღუდავად მართოს სს „თიბისი ბანკის" ბათუმის ფილიალში შპს "სახანძრო უსაფრთხოება" -ს სახელზე გახსნილი ნებისიერი ტიპის ანგარიშები; აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია თანხის შეუზღუდავი ოდენობით გადარიცხვა, შეტანა-გატანის ჩათვლით, მიიღოს ანგარიშიდან და ანგარიშზე წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (ამონაწერი ანგარიშიდან, ინფორმაცია ანგარიშზე ფულადი სახსრების მოძრაობის, ნაშთების შესახებ და სხვა), ხელი მოაწეროს და მიიღოს საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას. ასევე, მინდობილი პირი უფლებამოსილია საქართველოს ნებისმიერ ბანკში გახსნას შპს "სახანძრო უსაფრთხოება" -ს სახელზე საბანკო ანგარიშები და აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია თანხის შეუზღუდავი ოდენობით გადარიცხვა, შეტანა-გატანის ჩათვლით, მიიღოს ანგარიშიდან და ანგარიშზე წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (ამონაწერი ანგარიშიდან, ინფორმაცია ანგარიშზე ფულადი სახსრების მოძრაობის, ნაშთების შესახებ და სხვა), ხელი მოაწეროს და მიიღოს საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას. გადაიხადოს გადასახადები და მოაგვაროს ყველა ფორმალური მხარე, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალების შესრულებასთან.

მინდობილი პირი ვალდებულია ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, მიმნდობს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

მინდობილობა გაცემულია 10(ათი) წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლეილა ჭედიასთან, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

წინამდებარე მინდობილობა მიმნდობს წაუკითხა ნოტარიუსმა. მიმნდობმა მოიწონა მინდობილობა და ნოტარიუსის თანდასწრებით მას პირადად მოაწერა ხელი.

მიმნდობმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური: ათი ლარი + დღგ 1.80+ ორი ლარი რეგისტრაციის საფასური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის საქართველოს კანონის (11 ივნისი,1998წ., № 1417 II -ს) 29–ე, 31[1]-ე და სსკ-ის 245-ე მუხლებისა.

მიმნდობის ხელმოწერა _____

ნოტარიუსი: _____ /ლეილა ჭედია/

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N130467713 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 14.05.2013 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის ასლის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ლეილა ჭედია |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ბათუმი,კ.გამსახურდიას ქ.17 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | (0 422) 27-38-80 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 03736391457213 |

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ცამეტი წლის თოთხმეტ მაისს, მე, ნოტარიუსი ლეილა ჭედია, რომლის სანოტარო [illegible] მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, კ.გამსახურდიას ქ. №17 ვამოწმებ წინამდებარე ასლის (ფოტოასლი) შესაბამისობას (იდენტურობას) წარმოდგენილ დედანთან და ვამოწმებ მის ნამდვილობას, ამასთან განვმარტავ რომ ნოტარიუსის მიერ ასლის შესაბამისობის დამოწმება [illegible] ნიშნავს დოკუმენტის დედნის (დამოწმებული ასლის) კანონიერებასა და ნამდვილობის დამ[illegible] და შესაბამისად, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, თუკი დოკუმენტის [illegible] კანონსაწინააღმდეგოა (ან შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს) ან გაყალბებულია (მატერიალურად და/ან შინაარსობრივად).

ასლი დამოწმებულია ორ გვერდზე თექვსმეტ ეგზემპლარად შესაბამისად გადახდილია ნოტ[illegible] საზღაური : 16,0 ლარი+დღგ 2,88 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის [illegible] საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ) 31-ე. და სსკ-ის 169 [illegible] შესაბამისად.

ნოტარიუსი: _____ /ლეილა ჭედია/

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის [illegible] გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ფეიჯ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18